ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4664157

ნომერი: AR1703377

თარიღი : 26.08.2019

გაცემის თარიღი : 11.09.2019

გაცნობის თარიღი : 11.09.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვარდების რევოლუციის მოედანი N6;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნიკოლოზ სხირტლაძე პ/ნ 01008014126
- თბილისი ი.ქუთათელაძის ქ. N 2

ორგანიზაცია:
- შპს ცენტრ პლაზა კოდი: 204483335

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

I კლასის – არსებულ შენობის ფასადზე სარეკლამო წარწერების მოწყობის სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი 2019 წლის 26 აგვისტოს AR1703377 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში (სექტორი - მთაწმინდა), ვარდების რევოლუციის მოედანი N6–ში, შ.პ.ს. „ივერია ცენტრი“-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის ფასადზე სარეკლამო წარწერების მოწყობის სამუშაოების განხორციელებას.

თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით დასტურს.

'მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების თანახმად, სამსახურმა შეამოწმა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (შ.პ.ს. „ივერია ცენტრი“-ს საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული მიწის ნკავეთის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; რეგისტრაციის N 882019296104, 24.04.2019 წ. საკადასტრო კოდი N 01.15.04.001.021.01.501; მინდობილობა, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის N191077637, 06.09.2019 წ. არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა, საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში (სექტორი - მთაწმინდა), ვარდების რევოლუციის მოედანი N6–ში, შ.პ.ს. „ივერია ცენტრი“-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის ფასადზე სარეკლამო წარწერების მოწყობის სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ, რომ თუ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა-ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიპოვოთ შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge